

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი

პრიორიტეტების დოკუმენტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 825.1 კვ კმ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის მდგომარეობით 18.4 ათას კაცია. მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 2 დაბა და 61 სოფელი. ოთხი დასახლებული პუნქტი სოფელი ზოტი, ქვაბლა, ჩხაკაურა და დაბა ბახმაროს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. აღნიშნულ დასახლებებში ჯამში ცხოვრობს 1 950 კაცი.

მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური წყალი ნაბელღავი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ნაბელღავში ფუქციონირებს ნაბელღავისა და სხვა გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი ქარხანა, რომლის მიერაც მოპოვებული მინერალური რესურსიდან გადახდილი მოსაკრებელი და ქონების გადასახადი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ბახმარო რომელიც ჰავაც საქვეყნოდ ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. კურორტ ბახმაროს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია რომლის სრულად ათვისების შემთხვევაში შესაძლებელია კურორტი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მთავარი შემოსავლის წყარო გახდეს.

ბოლო წლების მონაცემებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მთავარ წყაროს ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელიდან შემოსული თანხები, ქონების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი, საიდან მინიციპალიტეტებს მიეცემათ დღგ-ს განსაზღვრული წილი.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროა ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით მიღებული ტრანსფერები, რომლის შედეგადაც ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2020 წლის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობა	საკუთარი შემოსავლები (ათას ლარებში)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო	3,713,804.00	10,314,248.00	12,459,500.00
გურიის რეგიონი	113 100	35 081.2	44 783.6
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	18 400	8 273,2	14 871,0
პროცენტი საქართველოსთან	0.5	0.08	0.12
პროცენტი რეგიონთან	16.3	23,5	33,2

თავი II. გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულების მოკლე მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული	საკასო შესრულება	%
შემოსავლები	15 771,2	15 771,2	14 765,0	93,6 %
გადასახდელები	5021,8	5021,8	5 168,3	102.9 %
გრანტები	8 245,8	8245,8	7 457,0	90,4 %
სხვა შემოსავლები	2 503,6	2503,6	2 139,7	85,5 %

ხარჯები	9 894,3	9217,5	9050,9	98.2%
შრომის ანაზღაურება	2 045,7	2 051,2	2 050,1	99.9. %
საქონელი და მომსახურება	2 686,0	1660,5	1 603,8	96.6%
პროცენტი	22,0	41,5	41,5	100%
სუბსიდიები	4 412,4	4393,9	4 348,0	99.0%
გრანტები	0,0	2,0	1,9	95.0%
სოციალური უზრუნველყოფა	546,9	576,5	521,3	90.4%
სხვა ხარჯები	181,3	491,9	484,3	98.5%
საოპერაციო სალდო	5 876,9	6553,7	5 714,1	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 864,8	6860.8	6 507.3	94.8 %
ზრდა	6 914,8	6910,8	6 622,1	95.8%
კლება	50,0	50,0	114,8	229.6%
მთლიანი სალდო	-987,9	-307,1	-793,2	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-987,9	-348,6	-834,7	
ზრდა	0		153,2	
ვალუტა და კლება	987,9	987,9	987,9	100%
ვალუტა და	987,9	987,9	987,9	100%
ვალდებულებების	0,0	-41,5	-41,5	
ზრდა			-	
საგარეო			-	
საშინაო			-	
კლება	0,0	41,5	41,5	100%
საგარეო			-	-
საშინაო	0,0	41,5	41,5	100%
ბალანსი	0,0	0,0	0.0	

2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 987,9 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 153,2 ათასი ლარი

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა დამტკიცებულ ო	წლიური გეგმა(დაზუსტ ებული)	საკასო შესრულება	შესრულება%- ში
შემოსულობები	15821,2	15821,2	14 879,8	94.0 %
შემოსავლები	15771,2	15771,2	14 765,0	93.6%
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	50,0	114,8	229.6%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-
გადასახდელები	16809,1	16 169,8	15 714,5	97.2%
ხარჯები	9894,3	9217,5	9050,9	98.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	6914,8	6910,8	6 622,1	95.8%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	41,5	41,5	100%
ნაშთის ცვლილება	-987,9	-348,6	-834,7	

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 15 821,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 14 879,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94,1%

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 15 771,2 ლარი ფაქტიურად 14 765,0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 93,6 % შეადგინა

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 5 168,3 ათასი ლარი, გეგმის 5021,8 ათასი ლარის 102,9 %-ს შეადგენს.

მ/ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 983,0 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 2 000 ათასი ლარის 0,99 %- შეადგენს. ხოლო

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე 3 185,3 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 3021,8 ათასი ლარის 105,4 %-ს შეადგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7 457,0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 8 245,8 ათასი ლარი (90,4 %) მათ შორის; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 693,3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 800,0 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 5 963,7 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 2 503,6 ათასი ლარი, შემოსულია 2 139,7 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 85,5 %-ს შეადგენს. / შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 40,0 ათასი ლარი,(42,7%.)

რენტის სახით მობილიზებულია 1 856,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 634,2 ათასი ლარი 70,5 %-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 821,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 34,4 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 80,0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 162,4 ათასი ლარი.(203.0 %) მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 156,3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 144,8 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 11,5 ათასი ლარი.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი დამომსახურება 6,1 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 64,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (60.0 ათასი ლარი) – 106,7% -ს შეადგენს.

ტრანსფერები რომლებიც არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 39,5 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 39,5 ათასი ლარი,

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 114,8 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 96,8 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 18,0 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 169,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 714,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,2 %-ია

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 217,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9050,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,2 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6910,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 6 622,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,8 %-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 41,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 41,5

ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% -ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 051,2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 050,1 ათასი ლარი; მ/შორის თანამდებობრივი სარგო 2 028,9 ათასი , დანამატი 16,6 ათასი ლარი, ხოლო ჯილდო 4,6 ათასი ლარი; რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,9 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 608,9 ათასი ლარი

ხელფასები 608,9 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 608,9 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 598,6 ათასი ლარი

ჯილდო : 4,5 ათასი ლარი

დანამატი : 5,8 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 1 343,1 ათასი ლარი

ხელფასები 1 343,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1 343,1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1 332,3 ათასი ლარი

დანამატი : 10,8 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 98,1 ათასი ლარი

ხელფასები 98,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 98,1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 98,1 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 660,6 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 603,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,6 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 174,7 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 24,4 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 7,3 ათასი ლარი; მერია 16,2 ათასი ლარი, თავდაცვას 0,9 ათასი ლარი.
- ✓ ოფისის ხარჯები - 135,6 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 12,1 ათასი ლარი, მერია 95,2 ათასი ლარი, თავდაცვას 2,0 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 26,3 ათასი ლარი.
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 12,2 ათასი ლარი. კერძოდ:
 1. ნინოშვილის დღესასწაულთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება.
 2. თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულ ალექსი ბერიძის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ხარჯები.
 3. ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება.
 4. „მდგრადი ენერჯეტიკის დღეების“ ფარგლებში მოწვეული სტუმრების გამასპინძლების ხარჯი.
 5. ფილმის "გაზაფხულის პირველი დღე" პრემიერასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლების ხარჯი.
 6. ფერისცვალების დღესასწაულზე ტრადიციული დოდის გამართვასთან დაკავშირებული ხარჯი.
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 803,5 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 86,9 ათასი ლარი; მერია 146,0 ათასი ლარი, თავდაცვა--11,8 ათასი ლარი,

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია 0,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 24,0 ათასი ლარი. განათლების სისტემის ხელშეწყობა 534,0 ათასი ლარი.

სხვადანარჩენი საქონელი დამომსახურება-- 453,4 ათასი ლარი.

„პროცენტები“-ის მუხლით გეგმაც და ხარჯიც განისაზღვრა 41,5 ათასი ლარის ოდენობით.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა

4 393,9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 348,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,9 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 829,4 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1 375,2 ათასი ლარი;
- განათლების ხელშეწყობა - 32,9 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 620,6 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 1 282,5 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 5,0 ათასი ლარი;
- რელიგია--10,0
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 93,0 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 90,9 ათასი ლარი.

გენდერული თანასწოების უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 8,5 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 576,5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 521,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,4 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- დაკრძალვის ხარჯები - 2,1 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 7,0 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 19,7 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 308,5 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 166,5 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 2,9 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 6.2 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 8,4 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 491,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 484,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 98,5 %ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა: საკრებულო-69,8 ათასი ლარი

მერია 1,6 ათასი ლარი;

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა 0.5 ათასი ლარი;

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - 248,6 ათასი ლარი;

განათლების სისტემის ხელშეწყობა 0,5 ათასი ლარი;

- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 6,0 ათასი ლარი;

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 153,7 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 3,0 ათასი ლარი.

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 0,6 ათასი ლარი.

**ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
2019 წლის ბიუჯეტის შესრულება:**

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2848,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის

(2892,9 ათასი ლარი) 98.5 % შეადგენს.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 7 123,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 834,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.9 %,

საბინაო კომუნალური მეურნეობა გეგმა განისაზღვრა 862,0 ათასი ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 832,6 ათასი ლარი (96,5 %)

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 95,9 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 94,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,6 %,

■ კულტურა, ახალგაზრდული, სპორტული, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად

განსაზღვრული იყო 1983,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 976,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,6 %.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 2 392,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 2 363,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,8 %, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებამ გეგმით შეადგინა 1 386,7 ათასი ლარი გაიხარჯა 1 379,0 ათასი ლარი.(99.5 %)

✓ ზოგადი განათლების სფეროს ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 972,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (989,0 ათასი ლარი) 98,3%-ს შეადგენს.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 12,5 ათასი ლარი, გეგით განსაზღვრული იყო 15,0 ათასი ლარი(83,3 %)

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 819,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 763,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,2 %, მათ შორის:

საქონელი და მომსახურება : 0,5 ათასი ლარი; თანადაფინანსება: 99,4 ათასი ლარი;(სუბსიდია); სოციალური უზრუნველყოფა 506,7 ათასი ლარი:

სხვა ხარჯი 157,3 ათასი ლარი;

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2892,9	2848,9
704	ეკონომიკური საქმიანობა,	7123,5	6834,7
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	862,0	832,6
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	95,9	94,5
708	-დასვენება და კულტურა,	1983,1	1976,3
709	განათლება	2392,7	2363,6
710	სოციალური დაცვა	819,7	763,9
	სულ ჯამი	16 169,8	15714,5

ვალდებულებების დაფარვა

2019 წელში გადაირიცხა ბიუჯეტის ვალდებულებების კლების მუხლით გათვალისწინებული 41,5 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2019 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 62.0 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 61,6 ათასი ლარი(99,3 %)

ჩონატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

- ❖ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 3684,6 ათასი ლარი;
- ❖ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 832,6 ათასი ლარი;
- ❖ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1449,1 ათასი ლარით;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 728,7 ათასი ლარი;
- ❖ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 972,3 ათასი ლარით;

- ❖ სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 1379,0 ათასი ლარი;
- ❖ ზოგადი განათლების დაფინანსება - 972,1 ათასი ლარი;
- ❖ საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა---12,5 ათასი ლარი

- ❖ სპორტული ობიექტების დაფინანსება 625,1 ათასი ლარი;
- ❖ კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 1288,6 ათასი ლარი;
- ❖ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 4,8 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 47,8 ათასი ლარი;
- ❖ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 10,0 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 94,5 ათასი ლარით;
- ❖ დაკრძალვის ხარჯები - 2,1 ათასი ლარით;
- ❖ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 153,7 ათასი ლარით;
- ❖ ლტოლვილთა დახმარება - 7,0 ათასი ლარით;
- ❖ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 20,1 ათასი ლარით;
- ❖ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 311,6 ათასი ლარით;
- ❖ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 167,1 ათასი ლარით;

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა --11,7 ათასი ლარი;

სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება --90,9 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. განათლება;
3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დაფინანსებულია 7667,4 ათასი ლარით რაც გეგმის (7985,5 ათასი ლარი) 96,0 პროცენტია;

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 3684,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (3710,2 ათასი ლარი) 99,3 %-ს შეადგენს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. კერძოდ განხორციელდება შემდეგი პროექტები:

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფელ ერკეთში, ჯვარცხმის უბანში (გ. ბერამის ეზოს მიმართულებით) სოფელ ხიდისთავში შიდა საუბნო გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის მეორე მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები;

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფელ გოგოლესუბანში (მჭედლების სერი), სოფ. შუა ამაღლებაში, სოფელ გუთურში (ძველი სასაფლაოს მიმართულებით) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია;

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. დაბლაციხე-საყვავისტყე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. გუთურის ცენტრალური გზიდან ახალ სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის ქუჩის რეაბილიტაცია;
- სოფ. ქვენობანი-ბასილეთი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი გზიდან სოფ. წიფნარის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის პირველი კვ 0+00-კვ 1+50 მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.
- დაბა ჩოხატაურში, მდინარე სუფსაზე საავტომობილო ხიდისა და სარეგულაციო კედლების მოწყობის სამუშაოები;
- სოფ. ვანში ოხანეთის უბანში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები;

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 832,6 ათასი ლარით, რამაც გეგმის (862,0 ათასი ლარი) 96,6 პროცენტი შეადგინა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნარჩენებისგან დასუფთავება. მოხდა სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1449,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (1640,5 ათასი ლარი) 88,3 %.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოები. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (სოფელ ჩომეთსა და სოფელ კოხნარში) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მუსიკალური სკოლის კაპ. შეკეთების სამუშაოები;
- სოფ. ზომლეთში ყოფილი ფერმის ტერიტორიაზე საავტომობილო ხიდის აღდგენის და
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პარკებსა და სკვერებში განათების მოწყობა;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქვენობნის ადმ. ერთეულში - სოფელ ბუკნარში მინი სტადიონის მოწყობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში 2019 წლის გეგმა განისაზღვრა 730,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 728,7 ათასი ლარი.(99,8 %) კერძოდ:

1.4 სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2019 წლის განმავლობაში 972,3 ათასი

ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 1042,8 ათასი ლარის 93,1 %.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ:

- სოფელ შუა ფარცხმაში დაზიანებული ხიდის და საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- სოფ. საჭამიასერში, სოფელ მამულარაში ჭკუასლების უბანში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ ქვენობანში, ავთანდილ ჯამის ეზოს მიმდებარედ გაბიონის და ხრემის დამბის მოწყობის სამუშაოების, სოფელ მეწიეთში ელგუჯა კალანდაძის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის და სოფელ ხიდისთავში დათო ვასაძის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ ერკეთში ანზორ ჩანტლაძის მიმდებარედ საბჯენი კედლის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ თავპანტაში გია კალანდაძის ეზოს მიმდებარედ ნაპირსამაგრის და სოფელ თავპანტაში ტარიელ ჩანტლაძის და ჭიხვარიების უბანში გზის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები
- სოფელ ამაღლებაში დოლიძეების უბანში დაზიანებული გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- სოფელ გორაბერეჟოულში მდ.გუბაზეულის მიმდებარედ საყანე ფართობების დასაცავად ხრემის დამბის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ ვანში ტარიელ მახარაძის უბანში დაზიანებული გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- სოფელ იანეულში სასაფლაოს მიმართულებით გზის რეაბილიტაციის და სოფელ ბუკისციხეში რ.რამიშვილის ეზოს მიმდებარედ კიუვეტისა და საბჯენი კედლის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ გორაში, ე.კიკვაძის ეზოს მიმდებარედ კიუვეტისა და გზის სამოსის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელი იანეულში, მოედანას უბანში სანიაღვრე არხის და წყალგამტარი მიწების მოწყობის სამუშაოები

ასევე, სტიქიისგან დაზარალებულ 100 ოჯახს გადაეცა ჯამში 9026 კვ.მ. თუნუქი და 202 კუბ.მ. ხის მასალა.

2. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 2363,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (2392,7 ათასი ლარი) (98,8 %) მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 1379,0 ათასი ლარი, ამ მიმართულებით სახსრების მართვაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „მომავალი“.

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნა მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა.

მუნიციპალიტეტში 2019 წელს ფუნქციონირებდა 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებდა 520 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

2.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის ფარგლებში გამოყოფილი 972,1 ათასი

ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოხდა საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ასევე განხორციელდა საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.3 პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა სწავლა გადამზადების პროგრამა. გეგმა 15,0 საკასო შესრულება 12,5 (გეგმის 83,3 %)

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება დაზუსტებული გეგმით შედგენდა 1983,1 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 ათასი ლარი(გეგმის 99,6%)

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 625,1 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან,

სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდა ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა 1293,4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02) - ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- საშობაო ზღაპარი-კარნავალი ზღაპრის გმირებთან ერთად.
- ვაჟა გოგოლაძის ხსოვნის საღამო.
- დედის და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- მღერიან და ხუმრობენ ჩოხატაურლები.
- პასქის ფესტივალი.
- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო.
- ნ. დუმბაძის დღეები.
- ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი კურორტ ბახმაროში.

საესტრადო სიმღერების კონკურსი.

- რამინ მიქაბერიძისადმი მიძღვნილი საღამო.
- გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო.
- გურული საგალობლების ფესტივალი.

კულტურის ცენტრი აერთიანებს ანსამბლებს: „გურია“ -ს, „ნართი“-ს, „კრიმანჭულ“-ს, მანდილ“-ს, „ამაღლება“-ს საესტრადო ჯგუფებს, მგალობელთა ჯგუფს, ცეკვის ანსამბლებს, თეატრალურ დასს. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა ძალებით ხდება ხალხური რეწვის, ფოლკლორის მოძიება და დამუშავება და მაცურებელთათვის მიწოდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (პროგრამის კოდი 05 02 09) - ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- კაფე-სალამო მიძღვნილი „დედის დღისადმი“ დაკავშირებით.
- პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებითი სალამო. საფორტეპიანო კლასებისა და მუსიკის ლიტერატურის ინტეგრირებული ღონისძიება.
- კლასიკური მუსიკის სალამო.
- საანგარიშო კონცერტი ქ. ქუთაისის ორკესტრთან ერთად ახალ საკონცერტო დარბაზში.
- დამამთავრებელი კლასის გამოსაშვები „კაფე-სალამო“.
- გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი.
- წმ. ბარბარეს დღესასწაულისადმი მიძღვნილი კლასიკური მუსიკის კონცერტი.
- ღია და დახურული სოლო საფორტეპიანო კონცერტები.
- მოხდა მონაწილეობის მიღება გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ რომელიც გაიმართა ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა.
- მოეწყო დედის დღისადმი მიძღვნილი შიდა საკლასო გამოფენა.
- პლენერი ბუნებაში.
- პასკის ფესტივალზე მონაწილეობის მიღება.
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიზღვნილი ერთობლივი გამოფენა.
- მასტერკლასი გგამოყენებით ხელოვნებაში.
- საშემოდგომო პლენერი ბუნებასი ხატვასა და ფერწერაში.
- გიორგობის დღისადმი მიძღვნილი საშემოდგომო გამოფენა ქ. თბილისში.
- ნიკოლოზობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ერთობლივი გამოფენა

თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი (პროგრამის კოდი 05 02 10) - ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები.

- საქართველოს ოკუპაციის დღე - იმტეგრირებული ღონისძიება
- შემეცნებითი ღონისძიება ნ. დუმბაძის სახლ-მუზეუმში
- ნ. ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიმდინარე მუშაობის ანგარიში, პრეზენტაცია.
- საგანმანათლებლო ღონისძიება „წიგნიერება და სამუზეუმო სივრცე“
- ფაშიზმზე გამარჯვების თარიღთან დაკავშირებული ღონისძიება.
- აქცია-ღონისძიების ციკლი მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

- გალერეის მუდმივი ექსპოზიციისათვის ნამუშევრების შევსება.
 - სახელოვნებო ბიბლიოთეკის შექმნისათვის წიგნების შეძენა.
 - რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში და კონკურსებში მონაწილეობის მიღება.
 - სახელოვნებო გრანტებზე მომუშავე ორგანიზაციების მოძიება და პროექტების განხორციელება.
 - პერსონალური გამოფენების მოწყობა.
 - რაიონული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებსი გამოფენების ორგანიზება.
 - მუნიციპალიტეტის საჯარო და კერზო ხელოვნების პედაგოგთათვის და დაინტერესებული ადამიანებისათვის ტრენინგებისა და მასტერ კლასების ჩატარება მოწვეული ტრენერების დახმარებით.
 - საშობაო გამოფენების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ა(ა)იკ-ების მონაწილეობით.
 - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - საშობაო ღონისძიება, შეხვედრა ხანდაზმულ ადამიანებთან.
 - წიგნის განხილვა სტუმრად ზღაპრის სამყაროში.
 - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - სარვაშარტო ღონისძიება.
 - პოეზიის საღამოები. ერკეთის ბიბლიოთეკაში, ლიტერატურული საღამო სოფელ ქვენობანში, პოეზიის საღამო ამაღლების ბიბლიოთეკაში, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოფელ დაბლაციხეში.
- მოხდა საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შეძენა, რამაც უზრუნველყო მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

3.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის

ფარგლებში გაწეული იქნა 47,8 ათასი ლარის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტსმენტა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწევეს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

3.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,0ათასი ლარი, აღნიშნული სახსრები გამოყოფილი იქნა შემოქმედის ეპარქიისათვის.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
დაფინანსდა 858,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (915,6 ათასი ლარი) 93,7 %

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დელეგირებული

ფუნქციების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 94,5 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში (83.6 ათასი ლარი) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური“ კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

აგრეთვე, საბიუჯეტო სახსრებით (10.9 ათასი ლარი) დაფინანსდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, 18 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები (6248 პირი) C ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეული გამოკვლევებისათვის შესაბამისი კვლევებით.

4.2 სოციალური პროგრამები დაფინანსდა 763,9 ათასი ლარით.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი სოციალური პროგრამები:

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 8 ვეტერანი ერთჯერადი ფულადი დახმარებით 350 ოდენობით.

დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდა 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა თვეში 110.0 ლარის ოდენობით.

დახმარება მიეცა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შექმნაზე 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი და დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 250 ლარისა .

დახმარება მიეცა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების დახმარება; ?

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001 დან 150 000 - მდეა სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული, ეპილეფსიითა და ცერემბრლური დამბლით დაავადებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება;

ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

„C“ ჰეპატიტით დაავადებული პირების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (ბენეფიციარზე არაუმეტეს 200 ლარი).

0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ლოგოპედური სამედიცინო მომსახურება.

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შექმნაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა პატრონაჟისა და მონიტორინგისათვის ფინანსური დახმარება თანადაფინანსების სახით.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის დახმარება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება.

დაფინანსდა გენდერული საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, მოხდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყო ძალადობის წინააღმდეგ კვირეული, დაფინანსდა გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტი.

მოხდა შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების თანადაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო შშმ პირების საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის გაზრდასა ზოგადი განათლების განვითარებას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2892,9	2 848,9
2	03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3710,2	3684,6
3	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	862,0	832,6
4	03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1640,5	1449,1
5	(03 04)	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	730,0	728,7
6	03 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1 042,8	972,3
7	04 00	განათლება	2392,8	2363,6
8	05 01 04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	626,5	625,1

9	05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1292,8	1288,6
10	05 02 08	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	4,8	4,8
11	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	48,9	47,8
12	05 04	რელიგია	10,0	10,0
13	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	95,9	94,5
14	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	2,4	2,1
15	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	154,7	153,7
16	06 02 04	ლტოლვილთა დახმარება	11,1	7,0
17	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	24,4	20,1
18	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	354,8	311,6
19	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	169,7	167,1
20	06 02 08	გენდერული თანსწ. უზრუნველ. და ქალთ. მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.	11,7	11,4
21	06 02 09	სოციალური პრობლემების და კულ-საგან.სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება	90,9	90,9
		სულ:	16169,8	15714,5

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად,

რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაციას.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის
შესრულების მაჩვენებლები**

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის
შესრულების შესახებ**

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით დადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100% რანტის მიმღები აბიტურიენტები ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი 600 ლარის ოდენობით, ასევე მოხდება სამრევლო სკოლის მოსწავლეებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენა.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამა	270.0	60.0	65.0	70.0	75.0
სულ პროგრამა	270.0	60.0	65.0	70.0	75.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო პროცესი, ამაღლებულია არასასკოლო განთლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება.

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (04 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

საკრებულოსა და მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და უნარ ჩვევების ღრმობა

პროგრამის აღწერა:

აქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს აბაზისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების ლიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	60.0	15.0	15.0	15.0	15.0
სულ პროგრამა	60.0	15.0	15.0	15.0	15.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ამაღლებულია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობა

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა , რეაბილიტაცია (04 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

განათლება

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
--	------------------------

პროგრამის მიზანი:

ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო საჯარო სკოლა. პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსწავლეთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას, საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	1700.0	1700.0	1700.0	1700.0	1700.0
სულ პროგრამა	1700.0	400.0	400.0	400.0	400.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესდება საჯარო სკოლებში სამუშაო და სასწავლო პირობები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2040.0	2102.0	2159.0	2215.0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი; ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	1740.0	420.0	430.0	440.0	450.0
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“	890.0	200.0	220.0	230.0	240.0
სულ პროგრამა	2630.0	620.0	650.0	670.0	690.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში მოზარდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, გაზრდილია სპორტის სხვადასვა სახეობაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **05 01 04 03**

ქვეპროგრამის დასახელება:

საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

ქვეპროგრამის მიზანი:

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, საფეხბურთო კლუბ ბახმაროს უფრო მაღალ ლიგებში დაწინაურება

ქვეპროგრამის აღწერა:

დაარსების დღიდან გუნდში იგრძნობოდა სპორტული დონის ამაღლების ტენდენცია, გუნდმა მიაღწია გარკვეულ შედეგებს, კერძოდ 2009-2010 წლების გათამაშებაში მე-5 ადგილი, 2011-2012 წლების გათამაშებაში მე-4 ადგილი. 2013-2014-2015 წლებში მე-6 ადგილი. 2017 წელის სეზონი დაასრულა პირველი ადგილით. 2018 წლის მიმდინარე სეზონში გუნდმა ლიგა 3 დაასრულა მეორე ადგილით. გამომდინარე აქედან გუნდს გააჩნია სათამაშო კლასის ამაღლების პოტენციალი და მიზნად ისახავს გარკვეულ წინსვლას. მოხდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ამხანაგური მატჩების უფრო ხშირად ჩატარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 120 მოზარდია გაერთიანებული.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“	890.0	200.0	220.0	230.0	240.0
სულ	890.0	200.0	220.0	230.0	240.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

საფეხბურთო კლუბ „ბახმარო-2009“-ის კიდევ უფრო მაღალ ლიგაში დაწინაურება; ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 05
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებებისადმი ინტერესის ზრდა, მოზარდთა აქტიური ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :
--

- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ფუტზალი - ჩოხატაურელი იუნკერების მაკარ ბურჭულაძის , აკაკი და გედეონ ხუნდაზეების სახელობის ტურნირი.
- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.
- ბალახის ჰოკეი - 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი.

- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ლელეო - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადაძალვაში და სხვა.
 - ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი.
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- ტრადიციული დოღი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.
 - ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.
- აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 305 მოსწავლე სპორტსმენი.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	1740.0	420.0	430.0	440.0	450.0
სულ	1740.0	420.0	430.0	440.0	450.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ კულტურის ცენტრი; ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება; ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი;

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
--------------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო ობიექტების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	2660,0	650.0	660.0	670.0	680.0
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება	1460,0	350.0	360.0	370.0	380.0
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	1450.0	340.0	360.0	370.0	380.0
საახალწლო ღონისძიებების მოწყობის ხარჯი	20.0	5.0	5.0	5.0	5.0
სულ პროგრამა	5590.0	1345.0	1385.0	1415.0	1445.0

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01 02
----------------------------------	-------------

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:

- საშობაო ზღაპარი-კარნავალი ზღაპრის გმირებთან ერთად.
 - ვაჟა გოგოლაძის ხსოვნის საღამო.
 - დედის და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - მღერინ და ხუმრობენ ჩოხატაურლები.
 - პასქის ფესტივალი.
 - დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო.
 - ნ. დუმბაძის დღეები.
 - ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი კურორტ ბახმაროში.
- საესტრადო სიმღერების კონკურსი.
- რამინ მიქაბერიძისადმი მიძღვნილი საღამო.
 - გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო.
 - გურული საგალობლების ფესტივალი.

კულტურის ცენტრი აერთიანებს ანსამბლებს: „გურია“ -ს, „ნართი“-ს, „კრიმანჭულ“-ს, მანდილ“-ს, „ამაღლება“-ს საესტრადო ჯგუფებს, მგალობელთა ჯგუფს, ცეკვის ანსამბლებს, თეატრალურ დასს. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა ძალებით ხდება ხალხური რეწვის, ფოლკლორის მოძიება და დამუშავება და მაყურებელთათვის მიწოდება.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	2660,0	650.0	660.0	670.0	680.0
სულ	2660,0	650.0	660.0	670.0	680.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **05 02 09**

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი: **2021-2024 წლები**

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ფოლკლორულ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნობო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გააღრმავებენ სხვადასხვა ქანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.

მოეწყობა:

- კაფე-სალამო მიძღვნილი „დედის დღისადმი“ დაკავშირებით.
- მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისთვის“ „მომავლის ვარსკვლავები“ მე-9 რესპუბლიკურ ფესტივალის შესარჩევ ტურში.
- პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებითი საღამო. საფორტეპიანო კლასებისა და მუსიკის ლიტერატურის ინტეგრირებული ღონისძიება.
- კლასიკური მუსიკის საღამო .
- საანგარიშო კონცერტი ქ. ქუთაისის ორკესტრთან ერთად ახალ საკონცერტო დარბაზში.
- დამამთავრებელი კლასის გამოსაშვები „კაფე-სალამო“.
- გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი.
- წმ. ბარბარეს დღესასწაულისადმი მიძღვნილი კლასიკური მუსიკის კონცერტი.
- ღია და დახურული სოლო საფორტეპიანო კონცერტები.
- მოხდება მონაწილეობის მიღება გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ რომელიც გაიმართება ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში, რომელსაც მონაწილეობას იღებს ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები.
- მოეწყობა დედის დღისადმი მიძღვნილი შიდა საკლასო გამოფენა.
- პლენერი ბუნებაში.
- პასკის ფესტივალზე მონაწილეობის მიღება.
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიზღვნილი ერთობლივი გამოფენა, მონაწილეობას იღებს ჩოხატაურისა და რუსთავის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, რომელიც გაიმართება ქალაქ თბილისში სამების საკათედრო თამართან არსებულ ახალგაზრდული და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში.
- მასტერკლასი გგამოყენებით ხელოვნებაში.
- საშემოდგომო პლენერი ბუნებასი ხატვასა და ფერწერაში.

- გიორგობის დღისადმი მიძღვნილი საშემოდგომო გამოფენა ქ. თბილისში.
- ნიკოლოზობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ერთობლივი გამოფენა თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება	1460,0	350.0	360.0	370.0	380.0
სულ	1460,0	350.0	360.0	370.0	380.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაღრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ეთნოკლასიკურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **05 02 10**

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი: **2021-2024 წლები**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელდება ღონისძიებები:

- საქართველოს ოკუპაციის დღე - იმტეგრირებული ღონისძიება
- შემეცნებითი ღონისძიება ნ. დუმბაძის სახლ-მუზეუმში
- ნ. ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიმდინარე მუშაობის ანგარიში, პრეზენტაცია.
- საგანმანათლებლო ღონისძიება „წიგნიერება და სამუზეუმო სივრცე“
- ფაშიზმზე გამარჯვების თარიღთან დაკავშირებული ღონისძიება.
- აქცია-ღონისძიების ციკლი მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავსირებით. ცოტა რამ იური მარზე ღონისძიება ნიკო მარის სახლ-მუზეუმში.
- გალერეის მუდმივი ექსპოზიციისათვის ნამუშევრების შევსება.
- სახელოვნებო ბიბლიოთეკის შექმნისათვის წიგნების შეძენა.
- რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში და კონკურსებში მონაწილეობის მიღება.
- სახელოვნებო გრანტებზე მომუშავე ორგანიზაციების მოძიება და პროექტების განხორციელება.
- პერსონალური გამოფენების მოწყობა.
- რაიონული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებსი გამოფენების ორგანიზება.
- მუნიციპალიტეტის საჯარო და კერზო ხელოვნების პედაგოგთათვის და დაინტერესებული ადამიანებისათვის ტრენინგებისა და მასტერ კლასების ჩატარება მოწვეული ტრენერების დახმარებით.
- საშობაო გამოფენების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების მონაწილეობით.
 - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - საშობაო ღონისძიება, შეხვედრა ხანდაზმულ ადამიანებთან.
 - წიგნის განხილვა სტუმრად ზღაპრის სამყაროში.
 - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - სარვაშარტო ღონისძიება.
- პოეზიის საღამოები. ერკეთის ბიბლიოთეკაში, ლიტერატურული საღამო სოფელ ქვენობანში, პოეზიის საღამო ამაღლების ბიბლიოთეკაში, დედაენის

დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოფელ დაბლაციხეში.
 მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შეძენა,
 რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	1450.0	340.0	360.0	370.0	380.0
სულ	1450.0	340.0	360.0	370.0	380.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 02 08 01

ქვეპროგრამის დასახელება:

საახალწლო ღონისძიებების მოწყობის ხარჯი

ქვეპროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის მიზანი:

საახალწლო დღეებისათვის დაბა ჩოხატაურის ქუჩების მორთვა და საახალწლო ღონისძიების ჩატარების უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოირთვება დაბა ჩოხატაურის ქუჩები საახალწლო განათებებით, სათამაშოებით, მოეწყობა საახალწლო კონცერტისათვის სცენა და მოხდება ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საახალწლო ღონისძიებების მოწყობის ხარჯი	20 000	5 000	5 000	5 000	5 000
სულ	20 000	5 000	5 000	5 000	5 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მორთულია ახალი წლის დღეებისათვის დაბა ჩოხატაურის ცენტრალური ქუჩები და ჩატარებულია საახალწლო ღონისძიებები

ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენტა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოვება და სვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში ისწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას. გაგრძელდება ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „მონაწილეობითი CARRETE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის დაფინანსება	230.0	50.0	55.0	60.0	65.0
სულ	230.0	50.0	55.0	60.0	65.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

რელიგია (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება ყოველკვარტლურად შემოქმედის ეპარქიის განვითარების ნდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის რიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფინანსებას

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
რელიგია	51.0	10.0	12.0	14.0	15.0
სულ	51.0	10.0	12.0	14.0	15.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

რუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	880.0	900.0	920.0	950.0

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის

ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ბოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	380.0	95.0	95.0	95.0	95.0
სულ	380.0	95.0	95.0	95.0	95.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები დაავადებების პრევენცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვა.

სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
--	------------------------

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველპირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
დაკრძალვის ხარჯი	8.0	2.0	2.0	2.0	2.0
მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ ოჯახებისადმი დახმარება	630.0	125.0	145.0	165.0	195.0
დევნილების დახმარება	44.0	11.0	11.0	11.0	11.0

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	84.0	21.0	21.0	21.0	21.0
სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი	1380.8	345.2	345.2	345.2	345.2
ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	604.0	151.0	151.0	151.0	151.0
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	79.2	19.8	19.8	19.8	19.8
სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების	440.0	110.0	110.0	110.0	110.0
სულ პროგრამა	3270.0	785.0	805.0	825.0	855.0

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **06 02 01**

ქვეპროგრამის დასახელება:

დაკრძალვის ხარჯი

პროგრამის განხორციელების პერიოდი: **2021-2024 წლები**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანები ერთჯერადი ფულადი დახმარებით და მოხდება საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
დაკრძალვის ხარჯი	8.0	2.0	2.0	2.0	2.0
სულ	8.0	2.0	2.0	2.0	2.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანები ერთჯერადი ფულადი დახმარებით და ასევე საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **06 02 03**

ქვეპროგრამის დასახელება:

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ ოჯახებისადმი დახმარება

პროგრამის განხორციელების პერიოდი: **2021-2024 წლები**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დახმარება გაეწიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდება 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა 110.0 ლარის ოდენობით

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება	630.0	125.0	145.0	165.0	195.0
სულ	630.0	125.0	145.0	165.0	195.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებს

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

დეენილების დახმარება

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	-----------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით დახმარება ეძლევა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შექმნაზე 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 250 ლარისა (10,0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
დევნილების დახმარება	44.0	11.0	11.0	11.0	11.0
სულ	44.0	11.0	11.0	11.0	11.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დახმარება გაეწია სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების დახმარება, შექმნილია ზამთრისთვის სათბობი საშუალებები და გაწეულია დევნილთათვის ვულადი დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 05
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება

პროგრამის განხორციელების პერიოდი:
--

2021-2024 წლები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური
--

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეძლევა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება	84.0	21.0	21.0	21.0	21.0
სულ	84.0	21.0	21.0	21.0	21.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 06

ქვეპროგრამის დასახელება:

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები (12,0 ათასი ლარი);

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001 დან 150 000 - მდეა სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული, ეპილეფსიითა და ცერემბრლური დამბლით დაავადებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება;

ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

„C“ ჰეპატიტით დაავადებული პირების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (ბენეფიციარზე არაუმეტეს 200 ლარი).

0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ლოგოპედური სამედიცინო მომსახურება.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი	1380.8	345.2	345.2	345.2	345.2
სულ	1380.8	345.2	345.2	345.2	345.2

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 06

ქვეპროგრამის დასახელება:

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისა და ბავშვების ფინანსური დახმარება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი პროგრამები:

პრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შექმნაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა პატრონაჟისა და მონიტორინგისათვის ფინანსური დახმარება თანადაფინანსების სახით.

ახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის დახმარება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	604.0	151.0	151.0	151.0	151.0
სულ	604.0	151.0	151.0	151.0	151.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახები და ბავშვები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 08

ქვეპროგრამის დასახელება:

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

გენდერული ბალანსის დაცვა და გენდერული ბალანსის დაცვის მინიზნით შესაბამისი პროგრამების დაფინანსება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გენდერული საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, მოხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყობა ძალადობის წინააღმდეგ კვირეული, დაფინანსდება გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	79.2	19.8	19.8	19.8	19.8
სულ	79.2	19.8	19.8	19.8	19.8

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია გენდერული საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, მოხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყობა ძალადობის წინააღმდეგ კვირეული, დაფინანსდება გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტი

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **06 02 09**

ქვეპროგრამის დასახელება:

სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება

პროგრამის განხორციელების პერიოდი: **2021-2024 წლები**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალური პრობლემების მქონე მიზნობრივი ჯგუფებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების თანადაფინანსება რაც ხელს შეუწყობს შშმ პირების საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის გაზრდასა და ზოგადი განათლების განვითარებას

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება	440.0	110.0	110.0	110.0	110.0
სულ	440.0	110.0	110.0	110.0	110.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალური პრობლემების მქონე მიზნობრივი ჯგუფები და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამები

